საქართველოს მთავრობის

დადგენილება №170

2014 წლის 18 თებერვალი

ქ. თბილისი

„საქართველოს მთავრობასა და ისრაელის სახელმწიფოს მთავრობას შორის ერთობლივი ეკონომიკური კომისიის დაფუძნების შესახებ“ ურთიერთგაგების მემორანდუმის დამტკიცებისა და ძალაში შესვლის თაობაზე

მუხლი 1

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, ძალაში შესვლის მიზნით, დამტკიცდეს 2014 წლის 28 იანვარს ხელმოწერილი „საქართველოს მთავრობასა და ისრაელის სახელმწიფოს მთავრობას შორის ერთობლივი ეკონომიკური კომისიის დაფუძნების შესახებ“ ურთიერთგაგების მემორანდუმი.

მუხლი 2

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ:

ა) აცნობოს საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პარლამენტს ამ დადგენილების პირველი მუხლით გათვალისწინებული თანამშრომლობის მემორანდუმის დადების შესახებ;

ბ) შეატყობინოს ისრაელის მხარეს ამ დადგენილების პირველი მუხლით გათვალისწინებული თანამშრომლობის მემორანდუმის ძალაში შესვლისათვის აუცილებელი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურის საქართველოს მხრიდან დასრულების თაობაზე.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**